პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2022 წლის ქ. თბილისი

საკონტროლო პუნქტის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ,,კრიტერიუმები საკონტროლო პუნქტისთვის“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2028 წლის--- (გასათვალისწინებელია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედების ვადაც).

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საკონტროლო პუნქტის კრიტერიუმები

მუხლი 1.

1. ,,საკონტროლო პუნქტის კრიტერიუმები“ (შემდგომში - წესი) ადგენს საკონტროლო პუნქტისთვის კრიტერიუმებს.

2. საკონტროლო პუნქტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

3. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და შემოსავლების სამსახური.

მუხლი 2.

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საკონტროლო პუნქტი - ადგილი, სადაც ცხოველებს ასვენებენ არანაკლებ 12 საათი ან მეტს ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების I დანართის V თავის ,,1.5“ პუნქტის ან ,,1.7“ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3.

1. სააგენტო გასცემს ავტორიზაციას და ანიჭებს ავტორიზაციის ნომერს თითოეულ საკონტროლო პუნქტს. ავტორიზაცია შეიძლება შემოიფარგლოს კონკრეტულ სახეობებზე ან ცხოველების ზოგიერთ კატეგორიაზე და ჯანმრთელობის სტატუსზე.

დასაშვებია ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულის შემთხვევაში ორმაგი დანიშნულების ავტორიზაციის გაცემაც გარკვეული პერიოდით.

2. საკონტროლო პუნქტების სიას ადგენს და აახლებს სააგენტო.

3. საკონტროლო პუნქტის შემოწმების შემდეგ თუ საკონტროლო პუნქტი აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს სააგენტო გასცემს ავტორიზაციას და შეიტანს სიაში. ავტორიზაციის მიზნით შემოწმებისას სააგენტო უნდა დარწმუნდეს, რომ საკონტროლო პუნქტი აკმაყოფილებს ამ წესის დანართი N1-ის „კრიტერიუმები საკონტროლო პუნქტებისათვის“ ყველა მოთხოვნას. გარდა ამისა, საკონტროლო პუნქტი უნდა:

ა) მდებარეობდეს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ ექვემდებარება აკრძალვას ან შეზღუდვებს შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად;

ბ) იყოს სახელმწიფო ვეტერინარის კონტროლის ქვეშ, რომელიც უზრუნველყოფს, მათ შორის, ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისობას;

გ) ფუნქციონირებდეს ცხოველთა ჯანმრთელობასთან, ცხოველთა გადაადგილებასა და დაკვლისას ცხოველების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი მოთხოვნის თანახმად;

დ) დაექვემდებაროს რეგულარულ ინსპექტირებას წელიწადში ორჯერ მაინც, რათა დადგინდეს, რომ ავტორიზაციის მოთხოვნები კვლავ სრულდება.

4. სააგენტომ, სერიოზულ შემთხვევებში, განსაკუთრებით ცხოველების ჯანმრთელობის ან კეთილდღეობის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე უნდა შეუჩეროს საკონტროლო პუნქტს ფუნქციონირება. საკონტროლო პუნქტის ფუნქციონირების შეჩერება შეიძლება მოიხსნას სააგენტოს გადაწყვეტილებით.

5. სააგენტომ საკონტროლო პუნქტს შეიძლება შეუჩეროს ავტორიზაცია ან ამოიღოს სიიდან, თუ ადგილზე შემოწმებებით/ინსპექტირებით გამოვლინდა შეუსაბამობა კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებთან.

მუხლი 4.

1. საკონტროლო პუნქტი გამოიყენება ექსკლუზიურად გამვლელი ცხოველების მისაღებად, გამოსაკვებად, დასაწყურებლად, დასვენებისთვის, დროებით განთავსებისთვის, მოვლისა და გაგზავნისთვის.

2. სააგენტოს ასევე შეუძლია გასცეს ავტორიზაცია საკონტროლო პუნქტად ,,ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა ჯანმრთელობის ზეგავლენა მსხვილფეხა საქონლითა და ღორით ქვეყანაში ვაჭრობაზე დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N584 დადგენილების მე-2 მუხლის ,,პ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემკრები ცენტრის მთლიან შენობაზე თუ ის აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტისა და ამ წესის დანართი N1-ის ნაწილი 1-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ საკონტროლო პუნქტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ფუნქციონირების მთლიან პერიოდში.

3. ცხოველები შეიძლება იმყოფებოდნენ ერთდროულად საკონტროლო პუნქტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მათ აქვთ სერტიფიცირებული, ერთნაირი ჯანმრთელობის სტატუსი, მათ შორის, სადაც საჭიროა, გაცემულია ნებისმიერი დამატებითი გარანტია კანონმდებლობის შესაბამისად და მათი ჯანმრთელობის სტატუსი დამოწმებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობით:

ა.ა) შესაბამისი სახეობის ცხოველების კატეგორიისთვის ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების დანართი N7-ით - ,,ვეტერინარული კანონმდებლობა“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნებით, დამატებით სერტიფიკატი უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ ცხოველები იყვნენ სულ მცირე 21 დღის განმავლობაში ერთ სადგომში, ხოლო 21 დღეზე ნაკლები ასაკის ცხოველები იყვნენ დაბადებიდან წარმოშობის სადგომში და ამ სადგომიდან გაიგზავნა პირდაპირ ან ტრანზიტამდე ერთი ავტორიზებული შემკრები ცენტრის გავლით;

ბ.ბ) ექსპორტისათვის განკუთვნილი მსხვილფეხა საქონლის და ღორისთვის ვეტერინარული სერტიფიკატით, რომელიც შეიცავს დამატებით გარანტიებს დასაკლავად განკუთვნილ ცხოველებზე;

ბ) ისინი მიეკუთვნებიან ცხოველთა იმ კატეგორიას, რომლებზეც საკონტროლო პუნქტზე გაცემულია ავტორიზაცია.

4. დაუშვებელია საკონტროლო პუნქტში ერთდროულად ტრანზიტული ტვირთისა (ცოცხალი ცხოველის) და ქვეყნის შიდა გადაზიდვებისათვის განკუთვნილი ტვირთის (ცოცხალი ცხოველის) განთავსება.

მუხლი 5.

მფლობელი ან ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამუშავებს საკონტროლო პუნქტს, პასუხისმგებელია ამ წესით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების დაცვაზე და ამ მიზნით ვალდებულია:

ა) დაუშვას მხოლოდ ის ცხოველები, რომლებიც სერტიფიცირებულია ან იდენტიფიცირებულია შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად და განსაკუთრებით დაცულია ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ამ მიზნით მან უნდა შეამოწმოს ან იყოლიოს შესაბამისი პერსონალი შესაბამისი სახეობისა და კატეგორიის ცხოველების ჯანმრთელობისა ან/და თანმხლები დოკუმენტებისა და ცხოველებზე საიდენტიფიკაციო ნომრების შემთხვევითი შერჩევით შესამოწმებლად;

ბ) უზრუნველყოს საკონტროლო პუნქტში მყოფი ცხოველების გამოკვება და დაწყურება სწორ დროს, სახეობების მიხედვით და გაითვალისწინოს ამ მიზნით ცხოველის საკვების და სითხის შესაბამისი რაოდენობა;

გ) იზრუნოს საკონტროლო პუნქტში მყოფ ცხოველებზე და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნების დაცვაზე;

დ) საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს ვეტერინარი - ცხოველებისთვის სათანადო მკურნალობისაათვის, რომლებიც დაავადდნენ ან დაშავდნენ მისი პასუხისმგებლობის დროს და - საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ასეთი ცხოველების დაკვლა ან

მოკვლა ,,დაკვლისას ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

ე) ჰყავდეს ისეთი პერსონალი, რომელიც ფლობს სათანადო უნარებს, ცოდნასა და პროფესიულ კომპეტენციას და აქვს ამ მიზნით გავლილი სპეციფიური ტრენინგი/სწავლება საწარმოს ფარგლებში ან ტრენინგ ცენტრში/სასწავლო დაწესებულებაში ან აქვს მისი კვალიფიკაციისათვის საჭირო ექვივალენტური პრაქტიკული გამოცდილება გაუმკლავდეს და, საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს სათანადო მოვლა ცხოველებს;

ვ) მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს საკონტროლო პუნქტში ცხოველებთან შეხებაში მყოფი ყველა პირის მიერ ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნების დაცვა;

ზ) ტვირთის გაგზავნიდან ერთ სამუშაო დღეში აცნობოს სააგენტოს ამ წესის დანართი N1-ის მე-3 ნაწილის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, აწარმოოს ამ მონაცემების შესახებ ჩანაწერები ან მონაცემთა ელექტრონული ბაზა, შეინახოს იგი და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა სააგენტოსთვის სულ მცირე სამი წლის განმავლობაში;

თ) აცნობოს სააგენტოს, შესაძლებლობისამებრ მოკლე ვადაში, გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

მუხლი 6.

ტრანზიტისთვის განკუთვნილი ცხოველების მიერ საკონტროლო პუნქტის დატოვებამდე, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირმა (ვეტერინარმა) უნდა დაადასტუროს ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების დანართი N2-ით განსაზღვრულ მგზავრობის ჟურნალში ცხოველების მგზავრობის გასაგრძელებლად ვარგისობა.

დანართი N1

კრიტერიუმები საკონტროლო პუნქტებისათვის

ნაწილი I

ჯანმრთელობა და ჰიგიენა

1. ყველა საკონტროლო პუნქტი უნდა:

ა) განთავსდეს, დაგეგმარდეს, აშენდეს და ფუნქციონირებდეს ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით, სხვა სადგომებში და ამ შენობებში გამავალი ცხოველების თანმიმდევრულ პარტიებს შორის საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით;

ბ) აშენდეს, აღიჭურვოს და ფუნქციონირებდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურების ჩატარება. სატვირთო მანქანის რეცხვა უნდა განხორციელდეს ადგილზე. ასეთი ობიექტები უნდა იყოს მოქმედი ყველა ამინდის პირობებში;

გ) დასუფთავდეს და დაექვემდებაროს დეზინფექციას ყოველ გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ, სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მობინადრე ცხოველებთან კონტაქტში მყოფი პერსონალი და აღჭურვილობა ექსკლუზიურად განკუთვნილი უნდა იქნეს შესაბამისი ტერიტორიისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დაექვემდებარა დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურებს ცხოველებთან ან მათ ფეკალიებთან ან შარდთან კონტაქტის შემდეგ. კერძოდ, საკონტროლო პუნქტის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს სუფთა აღჭურვილობითა და დამცავი ტანსაცმელით, რომელიც უნდა იყოს შენახული ექსკლუზიურად საკონტროლო პუნქტში შესული ნებისმიერი პირის გამოსაყენებლად და ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობა ზემოაღნიშნული ნივთების დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის.

3. ქვეშსაგების მასალა უნდა მოიხსნას ცხოველთა გადაყვანის, ამ ნაწილის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ და ჩანაცვლდეს ახალი ქვეშსაგებით.

4. ცხოველების ქვეშსაგები, ფეკალიები და შარდი არ უნდა შეგროვდეს შენობიდან, თუ ისინი სათანადოდ არ დამუშავდა ცხოველთა დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

5. დაცული უნდა იქნეს შესაბამისი სანიტარული შესვენებები ცხოველების ორ თანმიმდევრულ პარტიას შორის. საჭიროების შემთხვევაში, სანიტარული შესვენებების ადაპტირება დამოკიდებულია ცხოველების მსგავსი რეგიონიდან, ზონიდან თუ კომპარტმენტიდან შემოყვანაზე. კერძოდ, საკონტროლო პუნქტი

მთლიანად უნდა დაიცალოს ცხოველებისგან სულ მცირე 24 საათის განმავლობაში მაქსიმუმ 6 დღიანი გამოყენების შემდეგ, დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციების განხორციელების შემდეგ და ნებისმიერი ახალი ტვირთის ჩამოსვლამდე.

6. ცხოველების მიღებამდე საკონტროლო პუნქტებში:

ა) უნდა ჩატარდეს დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურები იქ მყოფი ყველა ცხოველის გამგზავრებიდან 24 საათში ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

ბ) არ უნდა მიიღონ ცხოველები ვიდრე დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურები არ ჩატარდება სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნების შესაბამისად.

ნაწილი II

კონსტრუქცია და ნაგებობები

1. ,,ტრანსპორტირებისა და მასთან დაკავშირებული ოპერაციების დროს ცხოველთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის დადგენილების დანართი N1-ის მე-2 და მე-3 თავებით განსაზღვრულ მოთხოვნათა გარდა, რომლებიც ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებში ცხოველების ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე, ყველა საკონტროლო პუნქტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღჭურვილობა და საშუალებები ცხოველების სატრანსპორტო საშუალებებიდან ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის მიზნით. კერძოდ, ასეთ აღჭურვილობას და საშუალებებს უნდა ჰქონდეს იატაკის მოცურების საწინააღმდეგო საფარი და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს გვერდითი დაცვით. ხიდებს, პანდუსებს უნდა ჰქონდეს გვერდები, მოაჯირები ან დაცვის სხვა საშუალებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების ჩამოვარდნა. ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პანდუსებს უნდა ჰქონდეს მინიმალური შესაძლო დახრილობა. გადასასვლელებს უნდა ჰქონდეს იატაკის საფარი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს დაცურების რისკს და იყოს აგებული ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ცხოველების დაზიანების რისკი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მანქანის იატაკსა და პანდუსს ან პანდუსსა და გადმოტვირთვის ადგილის

იატაკს შორის არ იყოს შესამჩნევი უფსკრული ან საფეხური, რომელიც მოითხოვს ცხოველების გადახტომას ან შესაძლოა გამოიწვიოს მათი დაცურება ან წონასწორების დაკარგვა.

2. საკონტროლო პუნქტში ცხოველების დასაბინავებლად გამოყენებულ ყველა შენობას უნდა:

ა) ჰქონდეს იატაკის საფარი, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს მოცურების რისკს და არ იწვევს ცხოველების დაზიანებას;

ბ) ჰქონდეს სახურავი და ადეკვატური გვერდითი დაცვა, რათა დაიცვან ცხოველები არასასურველი ამინდის პირობებისგან;

გ) ჰქონდეს სადგომისთვის შესაფერისი სათავსოები ცხოველების შესანახად, შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოკვლევისთვის, გამოკვებისა და დასაწყურებლად, ასევე ცხოველის საკვების შესანახად;

დ) სადგომის ტევადობის გათვალისწინებით, ჰქონდეს ადეკვატური ვენტილაცია და დრენაჟი დაბინავებული ცხოველის სახეობებისთვის;

ე) ჰქონდეს საკმარისი ბუნებრივი ან ხელოვნური განათება, რომ შესაძლებელი იყოს ყველა ცხოველის ინსპექტირება ნებისმიერ დროს. საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადეკვატური სარეზერვო განათება;

ვ) ჰქონდეს ცხოველების დაბმის საჭიროებისას, მათი დასამაგრებელი საშუალებები. დაბმა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ გამოიწვიოს ცხოველების ტკივილი ან ტანჯვა და ჰქონდეთ საშუალება იკვებონ, დალიონ ან დაწვნენ უპრობლემოდ;

ზ) ჰქონდეს ცხოველის სახეობისათვის შესაბამისი/საკმარისი სივრცე იმისთვის, რომ ცხოველებს შეეძლოთ ერთდროულად დაწოლა და ადვილად გაიარონ გზა სასმელ და საკვებ პუნქტამდე;

თ) ჰქონდეს ქვეშსაგების ადექვატური მარაგი. ასეთი მასალა უნდა განთავსდეს შემოღობილ სათავსოში თითოეული სახეობის ან კატეგორიის ცხოველის საჭიროებების შესაბამისად;

ი) იყოს აგებული და შენახული ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების კონტაქტი რაიმე ბასრ ან სახიფათო საგნებთან ან დაზიანებულ ზედაპირზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება.

3. საკონტროლო პუნქტს უნდა ჰქონდეს შესაფერისი საშუალებები იმ ცხოველების ცალკე განსათავსებლად, რომლებიც დაავადდნენ, დაშავდნენ ან საჭიროებენ ინდივიდუალურ ყურადღებას.

4. საკონტროლო პუნქტს უნდა ჰქონდეს შესაფერისი საშუალებები ყველა იმ პირისთვის, ვინც საქმიანობს და სარგებლობს შენობით.

5. საკონტროლო პუნქტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მექანიზმები ნარჩენების შესანახად და განკარგვისთვის და მკვდარი ცხოველების შესანახად, რომელთა მოცილება და განადგურება უნდა განხორციელდეს ,,ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N 605 დადგენილების შესაბამისად.

ნაწილი III

სამუშაოები/პროცედურები

1. ჩამოყვანის შემდეგ ცხოველების გადმოტვირთვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლად. თუმცა, თუ დაყოვნება გარდაუვალია, ამინდის პირობებისა და ლოდინის პერიოდის გათვალისწინებით, ცხოველებს უნდა ჰქონდეთ გარანტირებული საუკეთესო კეთილდღეობის პირობები.

2. ჩატვირთვა-გადმოტვირთვისას უნდა იზრუნონ, რომ ცხოველებს არ შეეშინდეთ, აღიგზნონ ან ადგილი არ ჰქონდეს არასათანადო მოპყრობას და დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთს არ ერჩიან/ურტყავენ. ცხოველების არც აწევა ან გათრევა არ უნდა მოხდეს თავით, რქებით, ყურებით, ფეხებით, კუდით ან ბეწვით, ან არ უნდა მოექცნენ ისე, რომ

გამოიწვიოს მათ ზედმეტი ტკივილი ან ტანჯვა. საჭიროების შემთხვევაში, ისინი ინდივიდუალურად უნდა იქნენ გადაყვანილი.

3. საკონტროლო პუნქტში ცხოველების გადაადგილებისთვის:

ა) მობილური გადასასვლელები უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ გამოიყენებული იქნეს ცხოველთა ჯოგური მიდრეკილებები;

ბ) ცხოველების მეგზურობისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ მიზნით. შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნეს აცილებული ელექტროდარტყმის მქონე ხელსაწყოების გამოყენება. ელექტრო ხელსაწყო შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ზრდასრულ მსხვილფეხა საქონელზე და ღორზე, რომლებიც არ გადაადგილდებიან, იმ პირობით, რომ დარტყმები, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს ორი წამისა, იყოს ადეკვატურად დაშორებული და ცხოველებს წინ აქვთ სათავსო, სადაც უნდა გადაადგილდნენ. ასეთი დარტყმები შეიძლება მხოლოდ უკანა კუნთებზე;

გ) დაუშვებელია ცხოველებზე დაარტყმა და ზეწოლა სხეულის რომელიმე განსაკუთრებით მგრძნობიარე ნაწილზე. კერძოდ, ცხოველების კუდის მოწყვეტა, დაგრეხა ან მოტეხვა და თვალებზე შეხება, მუშტების ან წიხლების დარტყმა;

დ) პირებს, რომლებსაც შეხება აქვთ ცხოველებთან საკონტროლო პუნქტზე, არ უნდა ჰქონდეთ ან გამოიყენონ საჩხვეტელა ან სხვა საშუალება წვეტიანი ბოლოებით. ცხოველის მეგზურობისთვის განკუთვნილი ჯოხის ან სხვა ხელსაწყოების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ცხოველის სხეულზე მისი დაზიანების ან ზედმეტი ტანჯვის გარეშე.

4. ცხოველები, რომლებიც ჩამოდიან ნოტიო ამინდში მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შემდეგ, რაც შეიძლება მალე უნდა გაგრილდნენ შესაბამისი საშუალებებით.

5. ცხოველების კვება და დაწყურება უნდა განხორციელდეს ისე, რომ საკონტროლო პუნქტში განთავსებულ ყველა ცხოველს ჰქონდეს წვდომა სულ მცირე საკმარისი რაოდენობის სუფთა წყალზე და საკმარის და შესაბამის საკვებზე, მისი სხეულის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი საკონტროლო პუნქტში ყოფნისას და

მოსალოდნელი ხანგრძლივობის მგზავრობისთვის მომდევნო გამოკვების პუნქტამდე. საკონტროლო პუნქტმა არ შეიძლება მიიღოს განსაკუთრებული კვებითი საჭიროების მქონე ცხოველები, როგორიცაა ახალგაზრდა ხბოები, რომლებსაც ესაჭიროებათ თხევადი საკვები, თუ ისინი სათანადოდ არ არიან აღჭურვილი და დაკომპლექტებული ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

6. საკონტროლო პუნქტის პერსონალის მიერ ცხოველების მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ცხოველების საკონტროლო პუნქტში მიყვანისას და არანაკლებ ყოველ 12 საათში ერთხელ საკონტროლო პუნქტში ყოფნის დროს.

7. ამ წესის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) თითოეული ტვირთის გადმოტვირთვის და გადატვირთვის დაწყების თარიღისა და დროის შესახებ;

ბ) ამ დანართის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის მიზეზების გამო, დეპოპულაციის თარიღისა და ხანგრძლივობის შესახებ;

გ) თითოეულ პარტიაში მყოფი ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის ნომერ(ებ)ის შესახებ;

დ) ნებისმიერი აუცილებელი მონაცემის შესახებ ცხოველების ჯანმრთელობის ან კეთილდღეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და განსაკუთრებით:

დ.ა) საკონტროლო პუნქტში გადმოტვირთვის დროს აღმოჩენილი მკვდარი ცხოველების მონაცემებისა და რაოდენობის ან საკონტროლო პუნქტში მომკვდარი ცხოველების შესახებ;

დ.ბ) იმ ცხოველების მონაცემები და რაოდენობა, რომლებიც გადმოტვირთვის ადგილზე ან საკონტროლო პუნქტში ყოფნის დროს აღმოჩენილია სერიოზულად დაზიანებული ან ითვლება უვარგისად შემდგომი მოგზაურობისთვის;

ე) გადამზიდველის და მძღოლის სახელის, მისამართის და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომრების შესახებ.

პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/09/2019, 340170000.10.003.021483) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული:

1. „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკლავი ან/და სანაშენე ცხოველების ტრანზიტის შემთხვევაში, საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოტვირთვა ან/და სხვა ტვირთთან შერევა დაუშვებელია, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი შემთხვევისას:

ა) ჩამოტვირთვა ხორციელდება ცოცხალი ცხოველების დაწყურების, კვებისა და დასვენების მიზნით, ამისათვის სპეციალურად მოწყობილ ,, საკონტროლო პუნქტისთვის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საკონტროლო პუნქტში;

ბ) არსებობს ისეთი გარემოება, რომლის დროსაც აუცილებელია საქონლის ჩამოტვირთვა, რის შესახებაც ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეროვნულ სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2028?? წლის 1 იანვრიდან??

პრემიერ - მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**